



3491/3-37/21  
14-04-2021

საქართველოს ეკონომიკისა და  
მდგრადი განვითარების მინისტრს

ქალბატონ ნათია თურნავას

ქალბატონო ნათია,

მოგეხსენებათ, რომ 2019 წელს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ჩაატარა თემატური მოკვლევა “სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ”. მოკვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი კომპლექსური პრობლემებით არის განპირობებული, რაც საქართველოს მთავრობის და ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდეგში “სამინისტრო”) მხრიდან თანმიმდევრული ღონისძიებების განხორციელებას საჭიროებს. პრობლემებზე რეაგირების მიზნით, გენდერული თანასწორობის საბჭომ სამინისტროს მიმართ გასცა რეკომენდაცია შემდეგ საკითხზე მუშაობის დასაწყებად:

- “ქალთა ბიზნესის” სერთიფიცირების კონცეფციის შემუშავება, მასერტიფიცირებული ორგანოს და სერთიფიცირების წესის განსაზღვრა;

რეკომენდაცია სამინისტროს გამოეგზავნა 2019 წლის ივნისში.

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ღონისძიებები გაატარა სამინისტრომ აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად.

პატივისცემით,

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო

საბჭოს წევრი  
რატი იონათამიშვილი



KA020173084823721

საქართველოს  
ეკონომიკისა და მდგრადი  
განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY  
AND SUSTAINABLE  
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2  
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05

Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 09/2606

22 / აპრილი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს  
ბატონ რატი იონათამიშვილს

ბატონო რატი,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 14 აპრილის N3491/3-37/21 წერილი, რომელიც შეეხება საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში ჩატარებული თემატური მოკვლევის „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ“ ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციის - „ქალთა ბიზნესის“ სერთიფიცირების კონცეფციის შემუშავება, მასერტიფიცირებელი ორგანოს და სერთიფიცირების წესის განსაზღვრა“ შესრულების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, ინიციატივის ზეგავლენის ანალიზი, მისი საჭიროებების შეფასება და განხორციელების შესაძლებლობების შესწავლა მოითხოვს დამატებით დროს.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერა/   
შტამმოდასმულია  
ელექტრონულად

ეკატერინე მიქაბაძე



3492/3-37/21 2 14042021

3492/3-37/21

14-04-2021

დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს

მოგესხნებათ, რომ 2019 წელს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ჩაატარა თემატური მოკვლევა “სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ”. მოკვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ თავად მეწარმე ქალების ჯგუფში არიან განსაკუთრებულად მოწყვლადი ჯგუფები - დევნილი ქალები, რომელთა საჭიროებების გათვალისწინება სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ცალკე ყურადღებას საჭიროებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭომ სააგენტოს მიმართ გასცა შემდეგი რეკომენდაცია:

- შესაძლებლობის ფარგლებში გაზარდოს ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების ბიუჯეტი.

რეკომენდაცია სააგენტოს გამოეგზავნა 2019 წლის ივნისში.

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მომაწოდოთ ინფორმაცია, რა ღონისძიებები გაატარა სააგენტომ რეკომენდაციის შესასრულებლად.

პატივისცემით,

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო

საბჭოს წევრი  
რატი იონათამიშვილი



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური  
დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR,  
HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

LEPL INTERNALLY DISPLACED PERSONS, ECOMIGRANTS AND LIVELIHOOD AGENCY



KA030645057442521

საქართველო, თბილისი 0186, მ. თამარაშვილის ქ.15 ა; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 1505;  
15a M.Tamarashvili st., 0186, Tbilisi, Georgia; Hot line: (+995 32) 251 00 26; 1505;

№ 03/8659

31 / მაისი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს  
გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ  
საპარლამენტო საბჭოს წევრს  
ბატონ რატი იონათამიშვილს

ბატონო რატი,

თქვენი, 2021 წლის 14 აპრილის N 20166 წერილის პასუხად, რომელიც ეხება 2019 წლის ივნისში სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთვის გამოგზავნილ რეკომენდაციას, შესაძლებლობის ფარგლებში გაზრდილიყო ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების ბიუჯეტი, გაცნობებთ, რომ აღნიშნული რეკომენდაციის გაზიარება მოხდა სრულად. კერძოდ, სააგენტოს საარსებო წყაროების პროგრამების ბიუჯეტი 2020 წელს დაგეგმილ 400 000 ლარის ნაცვლად გაიზარდა 800 000 ლარამდე, ხოლო 2021 წელს შეადგენს 1 100 000 ლარს. მომავალ წელს დაგეგმილია ბიუჯეტის გაზრდა 2 200 000 ლარამდე.

პატივისცემით.

დირექტორი

ხელმოწერა/შტამპი/ფაქსი



ბესარიონ სიმონიშვილი



3477/3-37/21  
14-04-2021

სსიპ “აწარმოე საქართველოს” დირექტორს

მოგესხენებათ, რომ 2019 წელს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ჩაატარა თემატური მოკვლევა “სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ”. მოკვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში, მათ შორის - პროგრამა “აწარმოე საქართველოში” ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი კომპლექსური პრობლემებით არის განპირობებული, რაც შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან თანმიმდევრული ღონისძიებების გატარებას საჭიროებს.

პრობლემებზე რეაგირების მიზნით, გენდერული თანასწორობის საბჭომ სსიპ “აწარმოე საქართველოში” მიმართ გასცა რეკომენდაციები შემდეგ საკითხებზე მუშაობის დასაწყებად:

1. დაიწყოს პროექტების შესახებ გენდერული სტატისტიკის წარმოება. კერძოდ, შემოსული განცხადებების, დაფინანსებული და დაუფინანსებელი პროექტების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია დამუშავდეს გენდერულ ჭრილში;
2. განხორციელდეს დაფინანსებული პროექტების ხანგრძლივადიანი მონიტორინგი და შეფასება. ასევე, განხორციელდეს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების წარმოება;
3. გაიმიჯნოს პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები და მონიტორინგზე/შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი/უწყება;

4. განაცხადის ელექტრონულად შევსების შემთხვევაში, აპლიკანტებს მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ კონსულტანტების დახმარებით სააგენტოს რეგიონულ უწყებებში;
5. პროექტების წარმოებისთვის საჭირო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი გახდეს ორ ენაზე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში;
6. ინფორმაციის გავრცელებისა და პროგრამების შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად, სააგენტომ მაქსიმალურად გამოიყენონ რეგიონში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები;
7. გაიზარდოს პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, რათა მათ შეძლონ დაინტერესებული პირების გადამისამართება შესაბამის ოფისებში;
8. საინფორმაციო კამპანიის შემუშავების დროს ყურადღება გამახვილდეს ინ-ფორმაციის (პოსტერების) ისეთ სივრცეებში გამოფენაზე, სადაც ქალი ყველაზე ხშირად დადის (მაგ. ადგილობრივი ბაზრობა, საბავშვო ბაღები, სკოლები და ა.შ.);
9. შეიქმნას წარმატებული ბენეფიციარი ქალების ქსელი და მოხდეს მათი, როგორც მენტორების ჩართვა პროგრამებში;
10. სააგენტომ, საკუთარი პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიმუშავოს როგორი იქნება მენტორების ფუნქცია/მოვალეობები და მათი წახალისების მექანიზმები;
11. კაცების მიერ პროგრამაში განაცხადის გაკეთების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს თანაგანმცხადებლად ოჯახის წევრი ქალის რეგისტრირება; შემუშავდეს მექანიზმები მსგავსი პრაქტიკის წახალისებისათვის (მაგ. დამატებითი ქულის მინიჭება ან თანადაფინანსების მეტი წილის შეთავაზება);

12. სააგენტოს მიერ შეთავაზებულ სერვისებს დაემატოს აპლიკანტთა და ბენეფიციართა კონსულტირება და ტრენინგების მიწოდება:

- პოტენციური აპლიკანტების მომზადება ბანკის კრედიტ ოფიცერთან გასაუბრებისთვის (როგორ უნდა წარადგინონ ბიზნეს იდეა);
- დაფინანსებული ბენეფიციარებისათვის ბიზნესკონსულტირებისა და სხვა გამჭოლი თემების შესახებ (ბრენდირება, ეტიკეტირება ა.შ.);

13. სააგენტომ შეიმუშავოს საპილოტე, მცირემასშტაბიანი პროგრამა მხოლოდ ქალებისათვის ზემოთ მითითებული მახასიათებლების გათვალისწინებით.

რეკომენდაციები სააგენტოს გამოეგზავნა 2019 წლის ივნისში.

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ღონისძიებები გაატარა სააგენტომ თითოეული რეკომენდაციის შესასრულებლად.

პატივისცემით,

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო

საბჭოს წევრი  
რატი იონათამიშვილი





KA020135179339421

მისამართი: თბილისი, 0102, მარჯანიშვილის 5/16-18 ტელ: 296 00 10; Address: 5/16-18; Marjanishvili str., 0102 Tbilisi,  
Georgia Tel: 296 00 10 E-mail: info@enterprise.gov.ge, www.enterprise.gov.ge

№ EG-3/713

25 / ივნისი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის გენდერული  
თანასწორობის მუდმივმოქმედი  
საპარლამენტო საბჭოს წევრს,  
ბატონ რატი იონათამიშვილს

ბატონო რატი,

თქვენი, 2021 წლის 14 აპრილის N3477/3-37/21 და 09 ივნისის N5655/3-37/21 წერილების პასუხად გიგზავნით გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს (შემდგომში - სააგენტო) მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციას.

1. დაიწყო გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება პროექტების შესახებ. კერძოდ, პროექტების მიხედვით ინარმოვს სტატისტიკა შემოსული განაცხადების, დაფინანსებული და დაუფინანსებელი პროექტების შესახებ სქესობრივ ჭრილში.

სააგენტოს მიერ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის (შემდგომში - საგრანტო პროგრამა/კომპონენტი) ფარგლებში 2015 წლიდან ინარმოება გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკა. კერძოდ, ხსენებულ საგრანტო პროგრამაში სქესის ნიშნით კლასიფიცირებულ ინფორმაციას სააგენტო ფლობს როგორც მიღებული განაცხადების, ასევე დატრენინგებული და დაფინანსებული ბენეფიციარების ჭრილშიც. ამასთან, 2021 წელს სააგენტომ ხსენებული კრიტერიუმის მიხედვით ინფორმაციის შეგროვება დაიწყო ასევე ზემოხსენებული სახელმწიფო პროგრამის ინდუსტრიულ ნაწილშიც (მოიცავს როგორც წარმოების, ასევე სასტუმრო ინდუსტრიის, ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრიისა და ტურისტული სერვისების ინდუსტრიის მიმართულებებსაც). ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით (პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს) გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, სააგენტო ახორციელებს ინფორმაციის შეგროვებას საწარმოს ქალ ხელმძღვანელთა და ქალ დამფუძნებელთა შესახებ.

2. განხორციელდეს დაფინანსებული პროექტების ხანგრძლივადიანი მონიტორინგი და შეფასება. აღნიშნულ პროცესში მოხდეს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გენდერულად დისაგრეგირებული მონაცემების წარმოება.

2019 წელს სააგენტოში შეიქმნა ანალიზის, მონიტორინგის და შეფასების დეპარტამენტი, რომლის მიზანია პროექტების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა. აღნიშნული მიზნით 2020 წლის ოქტომბრიდან გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) - თან თანამშრომლობითა და მათი აქტიური ჩართულობით, მიმდინარეობს პროექტი, რომლის მიზანია სააგენტოს ინსტიტუციური შესაძლებლობების ზრდა და სტანდარტიზებული გავლენის შეფასების ჩარჩოს შექმნა. პროექტის ფარგლებში შეფასდა სააგენტოს შესაძლებლობები და არსებული პროცესები. სააგენტოს საქმიანობის შეფასების მიზნით იქმნება 100-ზე მეტი ინდიკატორი. აღნიშნულზე დაყრდნობით მოხდება თითოეული პროგრამის/მიმართულების შესწავლა მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ეკონომიკური და სოციალური შედეგების ჭრილში. ასევე, ინდიკატორები იძლევა საშუალებას განხორციელდეს შეფასების

შედეგების გენდერულად დისაგრეგირებული მონაცემების წარმოება. 2022 წლისათვის სააგენტოში სრულყოფილად იქნება დანერგილი პროექტების ხანგრძლივადიანი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.

3. *ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები და მათ მონიტორინგზე/შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი/უნყება.*

სახელმწიფო პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში დადგენილების შესაბამისად მენარმე სუბიექტისა და პროექტის მიმართ განვირგო სავალდებულო კრიტერიუმების შემოწმებას ახდენს სესხის გამცემი კომერციული ბანკი ან/და ლიზინგის საგნის გამცემი სალიზინგო კომპანია. პროექტის დამტკიცება ხორციელდება ყველა სავალდებულო კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში. პროექტის დამტკიცების შესახებ ინფორმაცია იგზავნება სააგენტოში, სადაც პროგრამით დადგენილი სარგებლის მისაღებად დამატებით აღარ ხორციელდება პროექტის შესწავლა/შეფასება. რაც შეეხება სახელმწიფო პროგრამის საგრანტო კომპონენტს (მიკრო და მცირე მენარმეობის ნაწილი), მენარმე სუბიექტის მიერ წარდგენილი განაცხადის შესწავლას, სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შეფასების სისტემის გამოყენებით, ახორციელებს კონტრაქტორი ორგანიზაციის (სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად დაქირავებული კერძო სამართლის იურიდიული პირი) მიერ დაქირავებული, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი ექსპერტი. სახელმწიფო პროგრამის ორივე კომპონენტის (როგორც ინდუსტრიულში, ასევე საგრანტოში) განხორციელების მონიტორინგზე პასუხისმგებელია სააგენტო.

4. *განაცხადის ელექტრონული ფორმით გაკეთების შემთხვევაში აპლიკანტებს მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ კონსულტანტების დახმარებით სააგენტოების რეგიონულ უწყებებში.*

რეგიონებში მენარმეობის ხელშეწყობი სახელმწიფო პროგრამების შესახებ, კონსულტაციების განვცის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით, დატრენინგდა იუსტიციის სახლებისა და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომლები, რომლებიც ეხმარებიან აპლიკანტებს ელექტრონული განაცხადების შევსებაში და აწვდიან ამომწურავ ინფორმაციას მათ სააგენტოს მიმდინარე პროგრამების შესახებ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ საგრანტო კომპონენტის ფარგლებში კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულ მენარმე სუბიექტებს კონტრაქტორი ორგანიზაციის მეშვეობით უტარდებათ კონსულტაციები და ტრენინგები, რომელიც მოიცავს ზოგადი მენარმეობის საფუძვლებისა და ბიზნეს გეგმის წერის სავალდებულო მოდულებს.

5. *პროექტების წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი გახდეს ორ ენაზე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.*

დღეის მდგომარეობით, სააგენტოს აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების პროცესი არ აქვს დაწყებული.

6. *ინფორმაციის გავრცელებისა და პროგრამების შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად, სააგენტომ მაქსიმალურად გამოიყენონ რეგიონში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები.*

სააგენტო სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას უზრუნველყოფს თავად, საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურის მეშვეობით. ამასთან, სახელმწიფო პროგრამების შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და სხვადასხვა პროფილის ბიზნეს ასოციაციებთან.

7. *გაიზარდოს პროგრამების შესახებ ცნობადობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, რომ მათ შეძლონ დაინტერესებული პირების გადამისამართება შესაბამის ოფისებში.*

სახელმწიფო პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ საგრანტო კონკურსის 2020 წლის თაობაზე ინფორმაციის გავრცელებაში, ისევე როგორც წინა წლების ეტაპებზე, აქტიურად იყვნენ ჩართული ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, მერიები, გამგეობები, გუბერნატორები, რწმუნებულები და ა.შ.

8. *საინფორმაციო კამპანიის შემუშავების დროს ყურადღება გამახვილდეს ინფორმაციის (პოსტერების) ისეთ სივრცეებში გამოფენაზე, სადაც ქალი ყველაზე ხშირად დადის (მაგ: ადგილობრივი ბაზრობა, საბავშვო ბაღები, სკოლები და ა.შ.).*

ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიის გათვალისწინებით სააგენტო სრულად გადასულია დისტანციურ რეჟიმში და არ ახდენს ინფორმაციის გავრცელებას პოსტერების, ფლაერების და სხვა ნაბეჭდი პროდუქციის სახით. დისტანციური სამუშაო რეჟიმის დასრულების შემდეგ, სააგენტო ახალი რეალობიდან გამომდინარე განაახლებს ბეჭდური საინფორმაციო მასალების განთავსებას ქალებისთვის სოციალურად აქტუალურ სივრცეებში.

9. *შეიქმნას წარმატებული ბენეფიციარი ქალების ქსელი და მოხდეს მათი, როგორც მენტორების ჩართვა პროგრამებში.*

დღეის მდგომარეობით, სააგენტოს აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების პროცესი არ აქვს დაწყებული.

10. *სააგენტოებმა, საკუთარი პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიმუშაონ როგორი იქნება მენტორების ფუნქცია/მოვალეობები და ნახალისების შექანიზმები.*

დღეის მდგომარეობით, სააგენტოს აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების პროცესი არ აქვს დაწყებული.

11. *კაცების მიერ პროგრამაში განაცხადის გაკეთების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს თანაგანმცხადებლად ოჯახის წევრი ქალის რეგისტრირება; შემუშავდეს მექანიზმები მსგავსი პრაქტიკის წახალისებისათვის (მაგ: დამატებითი ქულის მინიჭება ან თანადაფინანსების მეტი წილის შეთავაზება).*

სახელმწიფო პროგრამების „ანარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილისა და „საკრედიტო საგარანტიო სქემა“ ფარგლებში პროგრამაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ იურიდიულ პირებს, სადაც მსგავსი დაშვების გაკეთება ეწინააღმდეგება პროგრამების დიზაინს. რაც შეეხება, სახელმწიფო პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ საგრანტო კომპონენტს, დაფინანსების მიღების შესაძლებლობა აქვს ერთ ფიზიკურ პირს, პროგრამა არ იძლევა განმცხადებელთა ჯგუფის მონაწილეობის შესაძლებლობას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროგრამა ითვალისწინებს ქალი მენარმის მიერ წარდგენილი განაცხადის პრიორიტეტულობას, რაც გულისხმობს განაცხადის შეფასების ეტაპზე, მისთვის დამატებითი ქულის მინიჭებას.

12. *სააგენტოების მიერ შეთავაზებულ სერვისებს დაემატოს აპლიკანტთა და ბენეფიციართა რეგულარული კონსულტირება და ტრენინგების მიწოდება: პოტენციური აპლიკანტებისათვის - ბანკის კრედიტ ოფიცერთან გასაუბრებისთვის მომზადება (როგორ უნდა წარადგინონ ბიზნეს იდეა); დაფინანსებული ბენეფიციარებისათვის - ბიზნეს კონსულტირებისა და სხვა გამჭოლი თემების შესახებ (ბრენდირება, ეტიკეტირება ა.შ.)*

სააგენტო, გარდა ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა, დაფინანსებულ ბენეფიციარებს სახელმწიფო პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული კომპონენტის ფარგლებში ასევე სთავაზობს ტექნიკური დახმარების კომპონენტსაც, რომელიც სწორედ ზემოხსენებული მიმართულებებით (ბრენდირება, ეტიკეტირება, მარკეტინგი, გაყიდვები და ა.შ.) ტრენინგებისა და შესაბამისი კონსულტაციების საფასურის თანადაფინანსებას გულისხმობს. ამასთან, სააგენტო ბენეფიციარებს სთავაზობს ექსპორტის მენეჯერთა გადამზადების კურსებს, ასევე გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობით ყოველწლიურად აორგანიზებს მენეჯერთან გადამზადების კურსს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. რაც შეეხება სახელმწიფო პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ საგრანტო კომპონენტს, აღნიშნული მიმართულებით საკონკურსო ეტაპებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გახლავთ ტრენინგის ეტაპი, სადაც პოტენციურ ბენეფიციარებს სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვით დაქირავებული კონტრაქტორი ორგანიზაციები უტარებენ ტრენინგს ბიზნეს გეგმის შედგენასა და ზოგადი მენარმეობის საფუძვლებში, რომლის გავლაც სავალდებულოა პროგრამის მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად.

13. *სააგენტომ შეიმუშავოს საპილოტე, მცირემასშტაბიანი პროგრამა მხოლოდ ქალებისათვის ზემოთ მითითებული მახასიათებლების გათვალისწინებით.*

დღეის მდგომარეობით, სააგენტოს აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების პროცესი არ აქვს დაწყებული.

პატივისცემით,

დირექტორი

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია  
ელექტრონულად



მიხეილ ხიდურელი



საქართველოს პარლამენტი

## საქართველოს პარლამენტის წევრი



5655/3-37/21 2 09062021

5655/3-37/21

09-06-2021

სსიპ “აწარმოე საქართველოს” დირექტორს

მოგახსენებთ, რომ 14 აპრილის წერილის შესაბამისად (№3477/3-37/21), რომელიც შეეხებოდა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ განხორციელებული თემატური მოკვლევის “სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ” ფარგლებში სსიპ “აწარმოე საქართველოს” მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას, ინფორმაცია არ მიგვიღია.

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უმოკლეს ვადაში მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია, რა ღონისძიებები გაატარა სსიპ “აწარმოე საქართველომ” აღნიშნული თემატური მოკვლევის ფარგლებში მისთვის გაცემული თითოეული რეკომენდაციის შესასრულებლად.

პატივისცემით,

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო

საბჭოს წევრი  
რატი იონათამიშვილი



KA020135179339421

მისამართი: თბილისი, 0102, მარჯანიშვილის 5/16-18 ტელ: 296 00 10; Address: 5/16-18; Marjanishvili str., 0102 Tbilisi,  
Georgia Tel: 296 00 10 E-mail: info@enterprise.gov.ge, www.enterprise.gov.ge

№ EG-3/713

25 / ივნისი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის გენდერული  
თანასწორობის მუდმივმოქმედი  
საპარლამენტო საბჭოს წევრს,  
ბატონ რატი იონათამიშვილს

ბატონო რატი,

თქვენი, 2021 წლის 14 აპრილის N3477/3-37/21 და 09 ივნისის N5655/3-37/21 წერილების პასუხად გიგზავნით გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს (შემდგომში - სააგენტო) მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციას.

1. დაიწყო გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება პროექტების შესახებ. კერძოდ, პროექტების მიხედვით ინარმოვს სტატისტიკა შემოსული განაცხადების, დაფინანსებული და დაუფინანსებელი პროექტების შესახებ სქესობრივ ჭრილში.

სააგენტოს მიერ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის (შემდგომში - საგრანტო პროგრამა/კომპონენტი) ფარგლებში 2015 წლიდან ინარმოვს გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკა. კერძოდ, ხსენებულ საგრანტო პროგრამაში სქესის ნიშნით კლასიფიცირებულ ინფორმაციას სააგენტო ფლობს როგორც მიღებული განაცხადების, ასევე დატრენინგებული და დაფინანსებული ბენეფიციარების ჭრილშიც. ამასთან, 2021 წელს სააგენტომ ხსენებული კრიტერიუმის მიხედვით ინფორმაციის შეგროვება დაიწყო ასევე ზემოხსენებული სახელმწიფო პროგრამის ინდუსტრიულ ნაწილშიც (მოიცავს როგორც წარმოების, ასევე სასტუმრო ინდუსტრიის, ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრიისა და ტურისტული სერვისების ინდუსტრიის მიმართულებებსაც). ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით (პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს) გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, სააგენტო ახორციელებს ინფორმაციის შეგროვებას საწარმოს ქალ ხელმძღვანელთა და ქალ დამფუძნებელთა შესახებ.

2. განხორციელდეს დაფინანსებული პროექტების ხანგრძლივადიანი მონიტორინგი და შეფასება. აღნიშნულ პროცესში მოხდეს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გენდერულად დისაგრეგირებული მონაცემების წარმოება.

2019 წელს სააგენტოში შეიქმნა ანალიზის, მონიტორინგის და შეფასების დეპარტამენტი, რომლის მიზანია პროექტების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა. აღნიშნული მიზნით 2020 წლის ოქტომბრიდან გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) - თან თანამშრომლობითა და მათი აქტიური ჩართულობით, მიმდინარეობს პროექტი, რომლის მიზანია სააგენტოს ინსტიტუციური შესაძლებლობების ზრდა და სტანდარტიზებული გავლენის შეფასების ჩარჩოს შექმნა. პროექტის ფარგლებში შეფასდა სააგენტოს შესაძლებლობები და არსებული პროცესები. სააგენტოს საქმიანობის შეფასების მიზნით იქმნება 100-ზე მეტი ინდიკატორი. აღნიშნულზე დაყრდნობით მოხდება თითოეული პროგრამის/მიმართულების შესწავლა მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ეკონომიკური და სოციალური შედეგების ჭრილში. ასევე, ინდიკატორები იძლევა საშუალებას განხორციელდეს შეფასების

შედეგების გენდერულად დისაგრეგირებული მონაცემების წარმოება. 2022 წლისათვის სააგენტოში სრულყოფილად იქნება დანერგილი პროექტების ხანგრძლივადიანი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.

3. *ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები და მათ მონიტორინგზე/შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი/უნყება.*

სახელმწიფო პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში დადგენილების შესაბამისად მენარმე სუბიექტისა და პროექტის მიმართ განვირგო სავალდებულო კრიტერიუმების შემოწმებას ახდენს სესხის გამცემი კომერციული ბანკი ან/და ლიზინგის საგნის გამცემი სალიზინგო კომპანია. პროექტის დამტკიცება ხორციელდება ყველა სავალდებულო კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში. პროექტის დამტკიცების შესახებ ინფორმაცია იგზავნება სააგენტოში, სადაც პროგრამით დადგენილი სარგებლის მისაღებად დამატებით აღარ ხორციელდება პროექტის შესწავლა/შეფასება. რაც შეეხება სახელმწიფო პროგრამის საგრანტო კომპონენტს (მიკრო და მცირე მენარმეობის ნაწილი), მენარმე სუბიექტის მიერ წარდგენილი განაცხადის შესწავლას, სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შეფასების სისტემის გამოყენებით, ახორციელებს კონტრაქტორი ორგანიზაციის (სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად დაქირავებული კერძო სამართლის იურიდიული პირი) მიერ დაქირავებული, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი ექსპერტი. სახელმწიფო პროგრამის ორივე კომპონენტის (როგორც ინდუსტრიულში, ასევე საგრანტოში) განხორციელების მონიტორინგზე პასუხისმგებელია სააგენტო.

4. *განაცხადის ელექტრონული ფორმით გაკეთების შემთხვევაში აპლიკანტებს მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ კონსულტანტების დახმარებით სააგენტოების რეგიონულ უწყებებში.*

რეგიონებში მენარმეობის ხელშეწყობი სახელმწიფო პროგრამების შესახებ, კონსულტაციების განვცის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით, დატრენინგდა იუსტიციის სახლებისა და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომლები, რომლებიც ეხმარებიან აპლიკანტებს ელექტრონული განაცხადების შევსებაში და აწვდიან ამომწურავ ინფორმაციას მათ სააგენტოს მიმდინარე პროგრამების შესახებ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ საგრანტო კომპონენტის ფარგლებში კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულ მენარმე სუბიექტებს კონტრაქტორი ორგანიზაციის მეშვეობით უტარდებათ კონსულტაციები და ტრენინგები, რომელიც მოიცავს ზოგადი მენარმეობის საფუძვლებისა და ბიზნეს გეგმის წერის სავალდებულო მოდულებს.

5. *პროექტების წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი გახდეს ორ ენაზე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.*

დღეის მდგომარეობით, სააგენტოს აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების პროცესი არ აქვს დაწყებული.

6. *ინფორმაციის გავრცელებისა და პროგრამების შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად, სააგენტომ მაქსიმალურად გამოიყენონ რეგიონში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები.*

სააგენტო სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას უზრუნველყოფს თავად, საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურის მეშვეობით. ამასთან, სახელმწიფო პროგრამების შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და სხვადასხვა პროფილის ბიზნეს ასოციაციებთან.

7. *გაიზარდოს პროგრამების შესახებ ცნობადობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, რომ მათ შეძლონ დაინტერესებული პირების გადამისამართება შესაბამის ოფისებში.*

სახელმწიფო პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ საგრანტო კონკურსის 2020 წლის თაობაზე ინფორმაციის გავრცელებაში, ისევე როგორც წინა წლების ეტაპებზე, აქტიურად იყვნენ ჩართული ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, მერიები, გამგეობები, გუბერნატორები, რწმუნებულები და ა.შ.

8. *საინფორმაციო კამპანიის შემუშავების დროს ყურადღება გამახვილდეს ინფორმაციის (პოსტერების) ისეთ სივრცეებში გამოფენაზე, სადაც ქალი ყველაზე ხშირად დადის (მაგ: ადგილობრივი ბაზრობა, საბავშვო ბაღები, სკოლები და ა.შ.).*

ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიის გათვალისწინებით სააგენტო სრულად გადასულია დისტანციურ რეჟიმში და არ ახდენს ინფორმაციის გავრცელებას პოსტერების, ფლაერების და სხვა ნაბეჭდი პროდუქციის სახით. დისტანციური სამუშაო რეჟიმის დასრულების შემდეგ, სააგენტო ახალი რეალობიდან გამომდინარე განაახლებს ბეჭდური საინფორმაციო მასალების განთავსებას ქალებისთვის სოციალურად აქტუალურ სივრცეებში.

9. *შეიქმნას წარმატებული ბენეფიციარი ქალების ქსელი და მოხდეს მათი, როგორც მენტორების ჩართვა პროგრამებში.*

დღეის მდგომარეობით, სააგენტოს აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების პროცესი არ აქვს დაწყებული.

10. *სააგენტოებმა, საკუთარი პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიმუშაონ როგორი იქნება მენტორების ფუნქცია/მოვალეობები და ნახალისების შექანიზმები.*

დღეის მდგომარეობით, სააგენტოს აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების პროცესი არ აქვს დაწყებული.

11. *კაცების მიერ პროგრამაში განაცხადის გაკეთების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს თანაგანმცხადებლად ოჯახის წევრი ქალის რეგისტრირება; შემუშავდეს მექანიზმები მსგავსი პრაქტიკის წახალისებისათვის (მაგ: დამატებითი ქულის მინიჭება ან თანადაფინანსების მეტი წილის შეთავაზება).*

სახელმწიფო პროგრამების „ანარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილისა და „საგრედიტო საგარანტიო სქემა“ ფარგლებში პროგრამაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ იურიდიულ პირებს, სადაც მსგავსი დაშვების გაკეთება ეწინააღმდეგება პროგრამების დიზაინს. რაც შეეხება, სახელმწიფო პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ საგრანტო კომპონენტს, დაფინანსების მიღების შესაძლებლობა აქვს ერთ ფიზიკურ პირს, პროგრამა არ იძლევა განმცხადებელთა ჯგუფის მონაწილეობის შესაძლებლობას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროგრამა ითვალისწინებს ქალი მენარმის მიერ წარდგენილი განაცხადის პრიორიტეტულობას, რაც გულისხმობს განაცხადის შეფასების ეტაპზე, მისთვის დამატებითი ქულის მინიჭებას.

12. *სააგენტოების მიერ შეთავაზებულ სერვისებს დაემატოს აპლიკანტთა და ბენეფიციართა რეგულარული კონსულტირება და ტრენინგების მიწოდება: პოტენციური აპლიკანტებისათვის - ბანკის კრედიტ ოფიცერთან გასაუბრებისთვის მომზადება (როგორ უნდა წარადგინონ ბიზნეს იდეა); დაფინანსებული ბენეფიციარებისათვის - ბიზნეს კონსულტირებისა და სხვა გამჭოლი თემების შესახებ (ბრენდირება, ეტიკეტირება ა.შ.)*

სააგენტო, გარდა ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა, დაფინანსებულ ბენეფიციარებს სახელმწიფო პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული კომპონენტის ფარგლებში ასევე სთავაზობს ტექნიკური დახმარების კომპონენტსაც, რომელიც სწორედ ზემოხსენებული მიმართულებებით (ბრენდირება, ეტიკეტირება, მარკეტინგი, გაყიდვები და ა.შ) ტრენინგებისა და შესაბამისი კონსულტაციების საფასურის თანადაფინანსებას გულისხმობს. ამასთან, სააგენტო ბენეფიციარებს სთავაზობს ექსპორტის მენეჯერთა გადამზადების კურსებს, ასევე გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობით ყოველწლიურად აორგანიზებს მენეჯერთან გადამზადების კურსს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. რაც შეეხება სახელმწიფო პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ საგრანტო კომპონენტს, აღნიშნული მიმართულებით საკონკურსო ეტაპებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გახლავთ ტრენინგის ეტაპი, სადაც პოტენციურ ბენეფიციარებს სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვით დაქირავებული კონტრაქტორი ორგანიზაციები უტარებენ ტრენინგს ბიზნეს გეგმის შედგენასა და ზოგადი მენარმეობის საფუძვლებში, რომლის გავლაც სავალდებულოა პროგრამის მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად.

13. *სააგენტომ შეიმუშავოს საპილოტე, მცირემასშტაბიანი პროგრამა მხოლოდ ქალებისათვის ზემოთ მითითებული მახასიათებლების გათვალისწინებით.*

დღეის მდგომარეობით, სააგენტოს აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების პროცესი არ აქვს დაწყებული.

პატივისცემით,

დირექტორი

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია  
ელექტრონულად



მიხეილ ხიდურელი